

## საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიას აკადემიური პოზიციის დასაკავებლად

### 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლებ 6 წლის და ასევე:

- კვლევითი გრანტების განხორციელების გამოცდილება ;
- შესაბამის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
- უცხო ენის ცოდნა.

1.2. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

### 2. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:

2.1. მეღვინეობა ( 1 ვაკანსია-პროფესორი)

3. განცხადებების მიღება იწარმოებს **2018 წლის 22 ივნისიდან - 2018 წლის 25 ივნისის ჩათვლით.**

### 4. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

- 4.1. ბიოგრაფია (CV);
- 4.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
- 4.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
- 4.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- 4.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;
- 4.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - <https://form.jotform.me/81334006818453>

6. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია.

7. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2018 წლის 26 ივნისიდან - 2018 წლის 28 ივნისის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2018 წლის 29 ივნისიდან - 2018 წლის 1 ივლისის ჩათვლით**.

8. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა ხდება 3 წლის ვადით.

**9. საკონტაქტო ინფორმაცია:**

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, დიღმის საუნივერსიტეტო კამპუსი  
ვებ-გვერდი: [www.agruni.edu.ge](http://www.agruni.edu.ge)

ელ.მისამართი: [Vacancy@agruni.edu.ge](mailto:Vacancy@agruni.edu.ge)